PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტიტე ბოლქვაძე

წევრი: გივი დოლიძე

(თბილისი, 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „ერქვანი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 8 აპრილს გამოცემული #338808 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯი ერქვანის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის II თავის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შედგა 2021 წლის 26 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. ასევე, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კოლეჯის შენობაში და სახელოსნოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის დროს გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. 2.1.1.2 - რეკომენდებულია, დოკუმენტში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება“ გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად მითითებული დოკუმენტისა ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით, შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“.
   რეკომენდაცია შესრულებულია: ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია.

2. 2.4.2.2 - დოკუმენტში „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“-ში ნათლად უნდა განისაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებები: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ უნდა შეფასდეს თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.
   რეკომენდაცია შესრულებულია: კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცდა ახალი “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“, სადაც ექსპერტების მიერ გაცემული რეკომებდაციები გათვალისწინებულ იქნა. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები; ვერიფიკაციის მექანიზმი; ერჩევის მექანიზმი (რისკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები; ვერიფიკაციის პროცესი. ახალი წესით აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1. 2.2.1.1 - დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად მოახდინოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შეძენა და C გარემოსთვის განკუთვნილი სახელოსნოს მშენებლობის და აღჭურვის დასრულება.
2. 2.4.1.6 – იმის გამო, რომ აღნიშნული პროგრამა მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს, დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად მოახდინოს პროგრამით გათვალისწინებული C გარემოსთვის განკუთვნილ ასაშენებელ სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და მაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. 2.2.1.3/4 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.
2. 2.2.1.7 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტი - რენტაბელობის ზღვარი რეალურ მდგომარეობასთან.
3. 2.4.1.6 - იმის გამო, რომ აღნიშნული პროგრამა მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ პედაგოგებს სწავლების დაწყებამდე ჩაუტარდეთ ტრენინგი დარგის სპეციფიკის შესაბამისი შრომის უსაფრთხიების შესახებ და C გარემოში (სახელოსნო) შესვლამდე განსახორციელებელი უსაფრთხოების ნორმების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში/Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი ერქვანის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის #22 „ო“ ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 სტუდენტი, მოდულური, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 15 სტუდენტი, მოდულური, ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. იგი შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიაა - „შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების მიზანშეწონილების დასაბუთებას. კოლეჯის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დამატება სამშენებლო მიმართულებით. ასევე ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ ფარგლებში განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდა კვლევა „პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების შეფასება“. კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით დომინირებს მშენებლობის მიმართულება.

კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ მოხდა წინასწარ შედგენილი კითხვარებით გასაუბრება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და ასევე სკოლების 9-12 კლასელებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა მოთხოვნა მშენებლობასთან დაკავშირებულ პროფესიებზე. მოკვლევის ანალიზით უპირატესობა მიენიჭა სამშენებლო მიმართულებიდან 2 პროფესიას: „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ახალგაზრდებს ამ პროფესიით დასაქმების ფართო არეალი აქვთ, როგორც რეგიონში, ისე ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, რომლის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას. გეგმა ითვალისწეინებს ჩარჩო დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრას და განხორციელებას. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და დამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს კოლეჯის მიერ მომზადებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მუხლი 3 - „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის #19 ,,ო„ ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების შესაბამისად და ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში შესაძლებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #60 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ“ შესაბამისად. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ჩასარიცხ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს, რომლის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული დაწესებულების რესურსები პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, პროგრამაში მოცემული რესურსების ანალიზითა და დათვალიერების შედეგებით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით. მეთოდოლოგიის მუხლი 4-ის - მოდულური პროგრამის დამტკიცების წესის - პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ (2021 წლის 22 მარტის #22 „ო“ ბრძანება).

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ექსპერტთა შეფასებით სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამა მოიცავს ზოგად მოდულებს (18 კრედიტი), ყველა საერთო პროფესიულ მოდულს (5 კრედიტი) და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს (59 კრედიტი). „იატაკისა და ფილის სამუშაოებში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 82 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 64 კვირა. ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 97 კრედიტი (ხანგრძლივობა 84 კვირა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ-კილეჯი „ერქვანის“ სტრატეგიული გეგმის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შექმნლი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 16/02/2021;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის #19 ,,ო„ ბრძანებით;
- ✓ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 16 მარტის #60 „ო“ ბრძანებით;
- ✓ სსიპ კოლეჯი ერქვანის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის #22 „ო“ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამტკიცების თაობაზე;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“;
- ✓ კვლევის შედეგები და კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება A, B და C სასწავლო გარემო. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს:

A/B სასწავლო გარემო აუდიტორია #11, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის (საკუთრება);
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის (საკუთრება);
- 1 ერთეული დაფა (საკუთრება);
- 1 ერთი ცალი ეკრანი (საკუთრება);
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (საკუთრება);

C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია სივრცე (სასწავლო სახელოსნო) მისამართზე ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10, 15 პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც მშენებლობის პროცესშია.

სასწავლო გარემოს თრემატიკის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა მიმდინარეობს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც:

1. კოლეჯმა 2021 წლის 15 სექტემბრამდე უნდა შეიძინოს A/B გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობა, კერძოდ: პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) – 15 ცალი; კომბაინი - 1 ცალი; პროექტორი - 1 ცალი; აუდიო მოწყობილობა (დინამიკები) – 1 ცალი.
2. კოლეჯმა 2021 წლის 10 მაისამდე უნდა ააშენოს თანამედროვე ტიპის სასწავლო სახელოსნო 70,17 მეტრ/კვადრატი;
3. კოლეჯმა 2021 წლის 15 სექტემბრამდე უნდა შეიძინოს C გარემოსთვის (სახელოსნო) განკუთვნილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი.

ასევე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულება, გაფორმებული სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. ხელშეკრულების თანახმად სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ასიგნების ფარგლებში სსიპ-კოლეჯ ერქვანს აღჭურვილობის და ხელსაწყოების შესაძენად, ასევე სამუშაოების ჩასატარებლად გამოუყოფს დაფინანსებას.

პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკული სწავლება არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტზე. სწავლება განხორციელდება C სასწავლო გარემოში - სახელოსნოში.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დაწესებულებას საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის წინარე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 4 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის - 7 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პედაგოგების პირადი საქმეები და წინარე ხელშეკრულებები. პროგრამა ზუმის მეშვეობით ჩართვისას ექსპერტები გავესაუბრეთ პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. მათ დაწესებულების მხრიდან ჩაუტარდათ ტრენინგი მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით. დარგობრივი მოდულების პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პედაგოგები საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით და პროგრამა ზუმის საშუალებით გასაუბრებით. მას დაწესებულების მხრიდან ჩაუტარდათ ტრენინგი მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ის საჭიროებს დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. დირექტორის 2018 წლის 14 მაისის #26 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ზუმის მეშვეობით ჩართვის დროს მოხდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსების გადამოწმება და დაწესებულების ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დაწესებულებაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯში მოწყობილია პანდუსი და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ-კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

„ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით, რომლის მიხედვით სსსმ პირებთან სწავლება უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მიდგომებით და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ხდება: სასწავლო გეგმის აკომოდაციის (მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე) ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის (მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილება) ან/და სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატების (წინა უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) მიზნით.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით, კერძოდ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტში მოცემულია როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება 15 სტუდენტით (სულ პროგრამაზე მოთხოვნილია 15 სტუდენტი), თუმცა წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რენტაბელობის ზღვარი წარმოადგენს 5 სტუდენტს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტი რეალურ მდგომარეობასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ 2021 წლის 7 აპრილის ხელშეკრულება, გაფორმებული სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ასიგნების ფარგლებში სსიპ-კოლეჯ ერქვანისთვის აღჭურვილობის და ხელსაჭყოების შესაძენად, ასევე სამუშაოების ჩასატარებლად დაფინანსების გამოყოფის თაობაზე;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Erase Free

- ✓ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დანტკიცებული დირექტორის მიერ 2018 წლის 14 მაისის #26 „ო“ ბრძანებით;
- ✓ სსიპ-კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგებით და ზუმის მეშვეობით დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვის მიზნით დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 ,,ო“ ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის ზოგადი დებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, მოდულის შემუშავების/ადაპტირების წესი, მოდულური/დუალური პროგრამის დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარების და ცვლილებების შეტანის, ასევე მისი გაუქმების წესი, რომელზე დაყრდნობითაც იგი ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს, პერიოდულ ზედამხედველობას პროგრამის მიმდინარეობაზე და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. დოკუმენტში გაწერილია თითოეული ზემოთ აღნიშნული პროცესისთვის პასუხისმგებელი პირი/პირები, პირობები, მოქმედებათა თანმიმდევრობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს და ამუშავებს შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) აწარმოებს სხადასხვა ასაკობრივი ჯგუფების გამოკითხვას მათ მიერ მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრის მიზნით. ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების შესახებ მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დამსაქმებელთა კონკრეტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება, კოლეჯის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პირების მიერ, ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, დამტკიცების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი, წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, რასაც კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს ბრძანებით.

ამავე დროს, დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის #27 ,,ო“ ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დემინგის ციკლის მიხედვით ,,დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“. დაწესებულება აწარმოებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს.

დაწესებულების მიერ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დაცვით. ავტორიზაციის ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები. ჩატარებული იქნა ინტერვიუები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ ყოველწლიურად წარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზის შევსება, დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, წელიწადში 2-ჯერ ატარებენ სკოლებში და დამსაქმებლებთან მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის შეკრებას. მათი კონკრეტულ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და ამუშავებს კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს ახალი პროფესიული პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული კვლევების წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს: სტუდენტების და მასწავლებლების ანკეტირება. დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 ,,ო“ ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული წესის 5-ე მუხლის მიხედვით პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. პროფესიულ სტანდარტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტები დაინტერესდნენ, ქონდათ თუ არა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ პედაგოგებს (რომლებსაც აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება), მოდულებში ცვლილებების განხორციელების ინიცირება და მათთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ მომართული დაწესებულებისთვის მოდულებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. ასევე დაწესებულებას თავის მხრივ წერილობით აქვს მიმართული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის პროგრამის ზოგიერთ მოდულებში ცვლილებების თაობაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 ,,ო“ ბრძანებით;
- ✓ ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის #27 ,,ო“ ბრძანებით;
- ✓ პროგრამა ზუმის მეშვეობით გასაუბრება;
- ✓ კვლევის შედეგები და კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რისი მიზანიც სტუდენტთა ინტერესების დაცვაა. სასწავლო პროცესში მონაწილე პირები პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან ელექტრონული საშუალებებით, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, სატელეფონო შეტყობინებით და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. პროცესის მოქნილობის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. საჭიროების შემთხვევაში წესი განსაზღვრავს კოლეჯის სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ სწავლების ყველა შედეგის მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობაში და შესაბამისად არ აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობა პრაქტიკის ობიექტებთან. მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება აშენებს სახელოსნოს (**იხ. კრიტერიუმი 2.2.1, ინდიკატორი 1).**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

„იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“, ასევე დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, ამიტომ არც ერთ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმებული არ არის. მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება აშენებს სახელოსნოს (**იხ. კრიტერიუმი 2.2.1, ინდიკატორი 1).**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება პრაქტიკულ კომპინენტის განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯში. უსაფრთხოების პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესის 11-ე თავში, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს საამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“.

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ–კოლეჯი „ერქვანი“-ს სამშენებლო პროგრამის C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურას, კერძოდ: სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია; კოლექტიური დაცვის საშუალების არსებობა (ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები); ინსტრუქტაჟის ჩატარება პრაქტიკის ობიექტზე შესვლამდე. იმის გამო, რომ C გარემო (სახელოსნო) ჯერ მშენებლობის პროცესშია, ექსპერტების მიერ ვერ მოხერხდა გაწერილი უსაფრთხოების ზომების გადამოწმება. (**იხ. კრიტერიუმი 2.2.1, ინდიკატორი 1).**

დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ ბრძანებით კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

იმის გამო, რომ აღნიშნული პროგრამა მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ პედაგოგებს სწავლების დაწყებამდე ჩაუტარდეთ ტრენინგი დარგის სპეციფიკის შესაბამისი შრომის უსაფრთხიების და C გარემოში (სახელოსნო) შესლამდე განსახორციელებელი უსაფრთხოების ნორმების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სასწავლო გეგმა;
- ✓ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- ✓ „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით;
- ✓ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესი, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით;
- ✓ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს საამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N 25 „ო“ ბრძანებით;
- ✓ შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის სერტიფიკატი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N17 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“. წესი მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა „სწავლის შედეგის შეფასების, ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი, უფრო კონკრეტულად კი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის და შემუშავების პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აპელაციის წესს. წესი ასევე მოიცავს განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და წესს და მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N46 „ო“ ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დამტკიცებულია „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“. თითოეული პროფესიული პროგრამის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს კომისია, მათ შორის ხარისხის სამსახურის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“-ში მოცემულია შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვალიდურობა, სანდოობა, სამართლიანობა და გამჭვირვალეობა.

წინა ვიზიტისას დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: რეკომენდირებულია დოკუმენტში ნათლად განისაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებები: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ უნდა შეფასდეს თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.

აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N46 „ო“ ბრძანებით დამტკიცდა „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“, სადაც ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები; ვერიფიკაციის მექანიზმი; შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები; ვერიფიკაციის პროცესი. ახალი წესით აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; 3 წლის შემდეგ დოკუმენტები განკარგული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ ხდება სტუდენტებისთვის მათთან შეთანხმების გზით, შეფასების შედეგების გაცნობა სხვადასხვა ფორმით - ჯგუფურად, ელ. სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით და უშუალოდ მეცადინეობების დროს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 17 „ო“ ბრძანებით;
- ✓ “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით;
- ✓ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულება დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 24/05/2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------